

„გამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია



„ 6 „ 2017 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებში
(ვაჟები)

2017 წელი
17-19 თებერვალი
თბილისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ჭაბუკთა (ვაჟები) ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ის ძიუდოისტები, რომელთაც მოიპოვეს საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე ასპარეზობის ლიცენზია.

IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება 17 თებერვალს საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ოფისში.
- შეჯიბრი ჩატარდება 2017 წლის 18 თებერვალი - 19 თებერვალი, ქ. თბილისში ძიუდოს აკადემიაში.
- ჩამოსვლის დღე ქ. თბილისი - 17 თებერვალი, წასვლის დღე - 20 თებერვალი.
- შეჯიბრების დასაწყისი - 10.00 საათი.

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში:
50კგ; 55კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; 81კგ; 90კგ; +90კგ;
18 თებერვალი - 50კგ; 55კგ; 60კგ; 66კგ;
19 თებერვალი - 73კგ; 81კგ; 90კგ; +90კგ;

VI. აწონვა

აწონვა ვაჟებში: ქ. თბილისში

17 თებერვალი თბილისში, ძიუდოს აკადემიაში

50კგ; 55კგ; 60კგ; 66კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

18 თებერვალი თბილისში, ძიუდოს აკადემიაში

73კგ; 81კგ; 90კგ; +90კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

VII. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VIII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებს მომავლინებელი ორგანიზაციები.

- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: 2 51 64 66;

საკონტაქტო პირი – 577 99 44 07 ზურაბ უსუფაშვილი

საკონტაქტო პირი – 591 15 65 61 გიორგი ყიზილაშვილი

P.S.

- სპორტსმენის, მწვერთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა ლურჯი და თეთრი ფერის კიმანოს ქონა.

გენერალური მდივანი



გიორგი ათაბეგაშვილი